სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

LEPL GEORGIAN STATE TEACHING UNIVERSITY OF PHYSICAL EDUCATION AND SPORT

01-31 13.05.2020

ბრძანება

„საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის, 35-ე მუხლის 1-2-3-4-5 პუნქტების, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 15 ოქტომბრის №01/745 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ- საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების 25-ე მუხლის 1-2-4 პუნქტებისა და 26-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

2020 წლის 15 მაისიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად მწვრთნელთა და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტებზე შემდეგ სპეციალობებში:

1. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიის, მეთოდიკის, მენეჯმენტისა და სპორტის ისტორიის კათედრა.

- ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა - პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული;
- სპორტისა და ოლიმპიზმის ისტორია - პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული;
- სპორტისა და ოლიმპიზმის ისტორია - ასოცირებული პროფესორი-1 (ერთი) საშტატო ერთეული;

2. ადამიანის ანატომიის, ფიზიოლოგიის, ბიოლოგიისა და ბიოქიმიის კათედრა.

- ადამიანის ანატომია -პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული;

0162. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 49 ტელ.: +995 32 2250040
49 Chavchavadze Ave. 0162 Tbilisi, Georgia Tel: +995 32 2250040
www.sportuni.edu.ge

- ზოგადი და სპორტის ფიზიოლოგია-პროფესორი-1(ერთი) საშტატო ერთეული;
- ბიოლოგია – პროფესორი - 1(ერთი) საშტატო ერთეული;

3. სპორტული მედიცინისა და კინეზიოლოგიის კათედრა

- სპორტული მედიცინა – პროფესორი - 1(ერთი) საშტატო ერთეული;

4. ბიომექანიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრა.

- ბიომექანიკა – პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული;

5. ქართული და უცხო ენების კათედრა

- ინგლისური ენა – პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული;

6. სპორტის გამოყენებითი სახეების და ორთაბრძოლების კათედრა (ჭიდაობა, ძიუდო, ძალოსნობა, კრივი, აღმოსავლური ორთაბრძოლები, ტყვიის სროლა, ფარიკაობა).

- ჭიდაობა (ძიუდო) – პროფესორი -1(ერთი) საშტატო ერთეული;

7. სპორტის მასობრივი სახეების კათედრა (მძლეოსნობა, ტანვარჯიში, სპორტის საწყალოსნო სახეები).

- ტანვარჯიში – პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული;
- ცურვა – პროფესორი -1 (ერთი) საშტატო ერთეული;

8. პედაგოგიკის, ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის კათედრა.

- ზოგადი და სპორტის ფსიქოლოგია – პროფესორი -1 (ერთი) საშტატო ერთეული;
- ზოგადი და სპორტის სოციოლოგია – ასოცირებული პროფესორი -1 (ერთი) საშტატო ერთეული;

9. სპორტთამაშების კათედრა. <u>(ფეხბურთი, ჩოგბურთი, ხელბურთი, რაგბი, კალათბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი და მოძრავი თამაშები)</u>

- ხელბურთის თეორია და მეთოდიკა – პროფესორი -1 (ერთი) საშტატო ერთეული;

- ფრენბურთის თეორია და მეთოდიკა - პროფესორი ½ საშტატო ერთეული.

საკონკურსო თანამდებობაზე არჩევის წინაპირობები

1. სასწავლო უნივერსიტეტში **პროფესორის** **თანამდებობაზე** **6** (ექვსი) **წლის** ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 6 წლის გამოცდილება.

2. სასწავლო უნივერსიტეტში **ასოცირებული** **პროფესორის** **თანამდებობაზე** **4** (ოთხი) **წლის** ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის გამოცდილება.

3. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 28 თებერვლისN01-27 ბრძანებით დამტკიცებული „საკონკურსო კრიტერიუმები აკადემიური პერსონალისათვის" შესაბამისად:

- **პროფესორის** **აკადემიურ** **თანამდებობაზე** გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება მიენიჭება იმ პირს, რომელიც დააგროვებს: – **მინიმუმ 180 ქულას,**
- **ასოცირებული** **პროფესორის** **აკადემიურ** **თანამდებობაზე** გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება მიენიჭება იმ პირს, რომელიც დააგროვებს: – **მინიმუმ 120 ქულას,** ამასთან:

პროფესორის **აკადემიური** **თანამდებობის** **მაძიებელისათვის** **აუცილებელია,** რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ჰქონდეს 2 პროფილური სტატია Ebsco, Scopus, Elsevier ან Thomson Reuters- ის საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებში შემავალ რომელიმე საერთაშორისო ჟურნალებში.

ასოცირებული **პროფესორისათვის** **თანამდებობის** **მაძიებელისათვის** **აუცილებელია,** ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ჰქონდეს 1 პროფილური სტატია Ebsco, Scopus, Elsevier ან Thomson Reuters- ის საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებში შემავალ რომელიმე საერთაშორისო ჟურნალებში.

შენიშვნა:

- ეს სტატიები თუ შესრულებულია რამოდენიმე ავტორის მიერ, აუცილებელია, რომ პროფესორის და ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის მაძიებელი პირი მითითებული იყოს პირველ ავტორად;
- ყოველი გამოქვეყნებული სტატია, რომელსაც კონკურსანტი წარმოადგენს, ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს საკონკურსოდ გამოცხადებულ სპეციალობას.

- იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტები თანაბარ ქულებს დააგროვებენ, უპირატესობა მიენიჭება იმას, ვისაც უფრო მეტი სტატია ექნება გამოქვეყნებული Ebsco, Scopus, Elsevier ან Thomson Reuters- ის საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებში შემავალ რომელიმე საერთაშორისო ჟურნალებში.
- პროფესორის და ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას კვალიფიციური პირი პროფესიული ნიშნით. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე 65 წელს გადაცილებული პირის არჩევის წესი და პირობები განისაზღვრება უნივერსიტეტის წესდებით და აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

კონკურსში მონაწილე კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- CV ;
- დიპლომის ასლი;
- სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი, სათანადოდ დამოწმებულ ასლთან ერთად;
- ორი ფოტოსურათი 3X4;
- სასწავლო კურსის/კურსების სილაბუსი,რომლის წაყვანასაც გეგმავს კონკურსანტი სასწავლო უნივერსიტეტში, როგორც ნაბეჭდი ისე ელექტრონული ვერსია (ელექტრონული ვერსია შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას დისკით ან გამოგზავნილი იქნას უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართზე **sportuni.edu.ge**);

- ბოლო 5 წელიწადში განხორციელებული კვლევითი პროექტების ანოტაცია და გამოქვეყნებული შრომების ნუსხა;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

საბუთების მიღება შესაბამის ფაკულტეტის დეკანატში დაიწყოს გამოცხადებიდან ერთი თვის შემდეგ, 2020 წლის 15 ივნისიდან 2020 წლის 3 ივლისის ჩათვლით, ყოველ დღე 10:00-დან 15:00 საათამდე.

საბუთების განხილვა მოხდეს 2020 წლის 6 ივლისიდან 17 ივლისის ჩათვლით.

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს **2020** წლის 21ივლისს, შესაბამისი საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.Sportuni.edu.ge

კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს **2020** წლის პირველი აგვისტოდან.

კონკურსი ტარდება სწავლების პირველ და მეორე საფეხურებზე (საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები)

კონკურსანტს უფლება აქვს კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან 2 დღის განმავლობაში შეიტანოს განცხადება/საჩივარი საკონკურსო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი არ მიიღება.

კონკურსის ჩატარების დებულება და აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი იხილეთ ვებგვერდზე (**www.Sportuni.edu.ge**).

საკონტაქტო ტელეფონი **: 225 00 40**

რექტორი,
პროფესორი

ჯემალ ძაგანია